momlab

ბავშვის პირველი აფთიაქი

⚠️ მნიშვნელოვანი გაფრთხილება

ამ სიაში ნახსენები მედიკამენტები და პროდუქტები მოცემულია მხოლოდ მაგალითის სახით. ყველა მედიკამენტის გამოყენება და დოზირება უნდა შეთანხმდეს პედიატრთან და შეირჩეს ბავშვის ასაკის, წონისა და ინდივიდუალური მდგომარეობის მიხედვით.

სიცხე და ტკივილი

- ☐ თერმომეტრი
- ☐ თერმომეტრის დამცავი თავაკები (თუ საჭიროებს)
- ☐ პარაცეტამოლის შემცველი სიცხის დამწევი სიროფი (მაგ. პანადოლი)
- ☐ იბუპროფენის შემცველი სიცხის დამწევი სიროფი (მაგ. ნუროფენი)
- ☐ პარაცეტამოლის შემცველი სიცხის დამწევი სანთელი (მაგ. ეფერალგანი)
- ☐ წამლის დოზატორი შპრიცი
- ☐ გამაგრილებელი დასაკრობები (აცრის შემდეგ)

💡 *ბევრი ოჯახი ორივე ტიპის სიცხის დამწევს ინახავს სახლში, რადგან ისინი განსხვავებულ მოქმედ ნივთიერებებს შეიცავს და საჭიროების შემთხვევაში მონაცვლეობით გამოიყენება.*

დეჰიდრატაცია (გაუწყლოვნება)

- ☐ ორალური რეჰიდრატაციის ხსნარი, ელექტროლიტები (მაგ. ნეო პეკეს Suero+)

💡 გამოიყენება როცა ბავშვი მაღალი სიცხის, ფაღარათის, ღებინების გამო საკმარის სითხეს ვერ იღებს

💡 ავადობის დროს ყურადღება მიაქციე სველი საფენების რაოდენობას — მათი შემცირება დეჰიდრატაციის ერთ-ერთი ნიშანი შეიძლება იყოს.

ყელ-ყურ-ცხვირი და სუნთქვა

- ☐ ფიზიოლოგიური ხსნარი ცხვირისთვის —
- ☐ შესასხურებელი ან წვეთები
- ☐ ცხვირის ასპირატორი
- ☐ ასპირატორის სათადარიგო ფილტრები (თუ საჭიროებს)
- ☐ ნებულაიზერი / ინჰალატორი
- ☐ ფიზიოლოგიური ხსნარის ამპულები ინჰალატორისთვის
- ☐ ყურის წვეთები (მაგ. ოტიპაქსი)

💡 ნებულაიზერსაც და ასპირატორსაც მაქსიმალურად ადრე მიაჩვიეთ მაშინ, როცა ავად არაა.

💡 თუ ბავშვი პატარაა, შესხურების ნაცვლად, შეუმჩნევლად ცხვირში წამლის ჩასაწვეთებლად, ხელში შეათბეთ წამალი და ძილში ჩააწვეთეთ.

💡 თუ ბავშვი უჩვეულოდ ტირის, ხშირად ეხება ყურს, დასარწმუნებლად ყურზე თითის მსუბუქად მიჭერა ხშრიად (მაგრამ არა ყოველთვის) ყურის ტკივილის შემოწმების მეთოდია.

გაზები და მუცლის დისკომფორტი

- ☐ გაზის გამყვანები (მაგ. Frida Baby Windi)
- ☐ გაზების საწინააღმდეგო წვეთები
- ☐ პრობიოტიკი

💡 ზოგი ბავშვისთვის ეს ნივთები საერთოდ არ დაგჭირდება, ზოგი კი მათ პირველ თვეებში ყოველდღიურად იყენებს.

momlab

ბავშვის პირველი აფთიაქი

⚠️ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

ამ სტატიაში ნახსენები მედიკამენტები და ბრენდები მოცემულია მხოლოდ მაგალითის სახით. ყველა მედიკამენტს აქვს კონკრეტული ასაკობრივი შეზღუდვები, დოზირება და გამოყენების წესები. გამოიყენე ეს სია როგორც გზამკვლევი და ყველა მედიკამენტი წინასწარ შეათანხმე შენს პედიატრთან.

კანი და მცირე დაზიანებები

- ☐ თუთიის ოქსიდის შემცველი კრემი საფენის გამონაყარისა და კანის გაღიზიანებისთვის (მაგ. სუდოკრემი)
- ☐ სტერილური მარლა
- ☐ ბამბის დისკები
- ☐ ბეტადინი
- ☐ ანტიბიოტიკური კრემი ფრჩხილის კუთხის გაღიზიანებისთვის (მაგ. მუპობელი 2%)
- ☐ არნიკას 10%-იანი გელი — სილურჯეებისთვის
- ☐ მზისგან დამცავი კრემი (ასაკის მიხედვით)

💡 ფჩხილების დაჭრისას არ დააჭრათ ბავშვს კუთხეები. მოაჭერით მხოლოდ ჰორიზონტალურად.

ალერგიები და გადაუდებელი შემთხვევები

- ☐ ანტიჰისტამინური გელი ან ქავილის შესამსუბუქებელი მალამო (მაგ. ფენისტილი)
- ☐ ანტიალერგიული სიროფი (მაგ. დესლორატადინი ან პარლაზინი)
- ☐ დექსამეტაზონის ამპულები

⚠️ მხოლოდ ექიმის რეკომენდაციის შესაბამისად.

💡 მყარი საკვების დაწყების პერიოდში ბევრი მშობელი პირველად აწყდება ალერგენებს, ამიტომ სასარგებლოა წინასწარ იცოდე, რას გირჩევს შენი პედიატრი ალერგიული რეაქციის შემთხვევაში.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

ყოველთვის გქონდეს მარტივად ხელმისაწვდომ ადგილას მომზადებული:

- ☐ ბავშვის სისხლის ჯგუფი
- ☐ ბავშვის მიმდინარე წონა
- ☐ ალერგიები (თუ ცნობილია)
- ☐ დოზირების ინსტრუქციები
- ☐ გადაუდებელი და სასწრაფოს ნომრები
- ☐ სასურველი კლინიკა / საავადმყოფო

💡 ფორსმაჟორის დროს წინასწარ შედგენილი გეგმა ხშირად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავად აფთიაქი.